ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №01
2025 წლის 17 იანვარი

ქ. ამბროლაური

„ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი რანგების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ნოემბრის №20 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი რანგების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ნოემბრის №20 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge; 20/11/2017; სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.117.016345) შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“;

ბ) დადგენილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობა და საშტატო ნუსხა“ დანართის შესაბამისად.“;

გ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი

„ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობა და საშტატო ნუსხა

N	თანამდებობათა დასახელება	რიცხოვნობა	თანამდებობრივი სარგო (ლარი)
	პირველადი სტრუქტურული ერთეული – საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეები	11	

1	**ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი**		**2**	
	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – აპარატის უფროსი		1	3358
	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე – აპარატის უფროსის მოადგილე		1	2920
2	**პროფესიული საჯარო მოხელეები**		**9**	
1	**რანგირება**	**საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეული – საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება**		
	II რანგი	იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი	1	2628
	III რანგი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1752
2		**საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეული – საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილება**		
	II რანგი	საორგანიზაციო განყოფილების უფროსი	1	2628
	III რანგი	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1898
	IV რანგი	პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	1	1460
3		**საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეული – საკრებულოს აპარატის საზოგადებასთან ურთიერთობის განყოფილება**		
	II რანგი	საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი	1	2628
	III რანგი	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1898
4		**საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეული – საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების განყოფილება**		
	II რანგი	საქმისწარმოების განყოფილების უფროსი	1	2628
	III რანგი	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1898

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2025 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ასლან საგანელიძე**